ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის

ოქმი № 2

ქ. ლანჩხუთი **21.02.2019 წელი**

16.00 საათი

სხდომას ესწრებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ემზარ თევდორაძე;**

კომისიის წევრები: რეზო კვაჭაძე, ზაალ სანაძე, ბესიკ კუპრაძე, კარლო კვიტაიშვილი, ამირან ქანთრია, კახა თედორაძე, რეზო კვერენჩხილაძე, ელისო ჭიჭინაძე.

სხდომას ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **მაია კუპატაძე,** მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ხათუნა ვადაჭკორია.**

სხდომის თავმჯდომარემ, ემზარ თევდორაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრის" თანამშრომელთა კოლექტიური განცხადების (N44 01.02. 2019 წელი) განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ემზარ თევდორაძე/

2. სხვადასხვა

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა

კომისიის თავმჯდომარემ, ემზარ თევდორაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 9; წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: კომისიის თავმჯდომარემ **ემზარ თევდორაძემ** კომისიის წევრებს გააცნო ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრის" თანამშრომელთა კოლექტიური განცხადება (N44 01.02.2019 წელი). მან განაცხადა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (სსფ) სკოლების კატეგორიზაციის დებულება დამტკიცებულია სფფ-ის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 2018 წლის 26 ივნისს და მისი მოქმედების სფერო ვრცელდება სფფ-ის იურისდიქციაში შემავალ სუბიექტებზე. ასევე სხვა იურიდიულ პირებზე, რომლებიც სურვილს გამოთქვამენ, შეფასდნენ დებულების შესაბამისად, სფფ-ის კომპეტენტური ორგანოების თანხმობის საფუძველზე.

სფფ-ის სკოლების კატეგორიზაციის დებულება მოითხოვს „ბავშვთა საფეხბურთო სკოლის", როგორც დამოუკიდებელი იურიდიული სტატუსის მქონე ორგანიზაციის არსებობას ან გაწევრიანებას რომელიმე საფეხბურთო კლუბის იურიდიულ სტრუქტურაში. მისი სხვა ორგანიზაციის („სპორტული ცენტრი") იურიდიულ სტრუქტურაში ყოფნის შემთხვევაში არ განიხილება სკოლისთვის I და II კატეგორიის მინიჭება, რაც გამოიწვევს ფინანსურ თუ სხვა დახმარებების დაკარგვას. ასევე სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროექტების ჩავარდნას. სფფ დაინტერესებულია საფეხბურთო სკოლისთვის კატეგორიების მინიჭებით, რათა 2018-19 წლებში გათვალისწინებული ფინანსური და სხვა მატერიალურ-ტექნიკური დახმარების აღმოჩენა შეძლონ, რაც ავტომატურად ხელს შეუწყობს ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას რეგიონებში.

განცხადებას ხელს აწერს ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრის" 28 თანამშრომელი, ისინი საკრებულოსგან შუამდგომლობას და განხილვას ითხოვენ, რომ „ბავშვთა საფეხბურთო სკოლამ" დამოუკიდებელ ა(ა)იპ-ად გააგრძელოს ფუნქციონირება.

დეპუტატმა **ზაალ სანაძემ** განაცხადა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფელ გვიმბალაურში შენდება ბავშვთა საფეხბურთო აკადემია, თუ „ბავშვთა საფეხბურთო სკოლა“ დამოუკიდებელი სუბიექტი იქნება და მიენიჭება I ან II კატეგორია, შესაძლებელია გაფორმდეს მემორანდუმი, რის შემდგომაც ერთობლივად იფუნქციონირებენ.

კომისიის თავმჯდომარემ **ემზარ თევდორაძემ** განაცხადა, რომ 2018 წელს ფეხბურთის ფედერაციის მიერ სკოლების კატეგორიზაციის შემოღების შემდგომ სკოლის დამოუკიდებელ ერთეულად არ არსებობის გამო მიენიჭა III კატეგორია. რამაც გამოიწვია სკოლისთვის გათვალისწინებული ფინანსური დახმარების შემცირება. სკოლას ინვენტარისთვის გამოეყო 15 000 ლარი. I ან II კატეგორიის არსებობის შემთხვევაში ეს თანხა 50 00-დან 80 000-მდეა შესაძლებელი გაიზარდოს.

საკრებულოს დეპუტატმა **ელისო ჭიჭინაძემ** განაცხადა, რომ თუ ფინანსურად შესაძლებელია „ბავშვთა საფეხბურთო სკოლის“ დამოუკიდებელ ა(ა)იპ-ად ფუნქციონირება ის მხარს დაუჭერს აღნიშნულ ინიციატივას.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრის“ თანამშრომელთა კოლექტიური განცხადების (N44 01.02. 2019 წელი) განხილვის შესახებ კომისიის წევრებმა განაცხადეს, რომ ისინი რეკომენდაციას აძლევენ „ბავშვთა საფეხბურთო სკოლამ“ დამოუკიდებელ ა(ა)იპ-ად გააგრძელოს ფუნქციონირება.

მომხრე 9; წინააღმდეგი არცერთი

2. სხვადასხვა

1. დეპუტატმა **ემზარ თევდორაძემ** განაცხადა, რომ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრში“ აღმზრდელებს, ტექნიკურ პერსონალს მიზერული ანაზღაურება აქვთ, აუცილებელია ხელფასების გადახედვა და მატება.

2. დეპუტატმა **კარლო კვიტაიშვილმა** განაცხადა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სააღმზრდელო ცენტრში დაფიქსირდა ცხენის ხორცის გამოყენება, აუცილებელია მკაცრად გაკონტროლდეს საკვები პროდუქტის ვარგისიანობა.

3. დეპუტატმა **რეზო კვერენჩხილაძემ** აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეპიდემიოლოგს დიდი პასუხისმგებლობა აკისრია, 400 ლარი აქვს ანაზღაურება - რაც დაუშვებელია.

4. დეპუტატმა **კარლო კვიტაიშვილმა** განაცხადა, რომ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებაში“ ცეკვის სახალხო ანსამბლის ხელმძღვანელი მენისი ნადირაძე სამსახურიდან დაითხოვეს. საზოგადოების თხოვნაა გაერთიანების ხელმძღვანელობამ განმარტოს აღნიშნული პიროვნების განთავისუფლების მიზეზი.

5. დეპუტატმა **ზაალ სანაძემ** განაცხადა, რომ ორაგვის ტერიტორიულ ერთეულში ცხოვრობს გურამ ლომაძე ინვალიდია, მისი თხოვნაა - „მედიკამენტის შეძენის დახმარების პროგრამით“ გათვალისწინებული მედიკამენტების ნაცვლად მიიღოს ე.წ. პამპერსი.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და
ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ემზარ თევდორაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა,
განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის №2 სხდომის
დასკვნა

ქ. ლანჩხუთი 21.02.2019 წ.

2019 წლის 21 თებერვალს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრის" თანამშრომელთა კოლექტიური განცხადების (N44 01.02. 2019 წელი) განხილვის შესახებ.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი 1 ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრის" თანამშრომელთა კოლექტიური განცხადების (N44 01.02. 2019 წელი) განხილვის შესახებ კომისიის წევრებმა განაცხადეს, რომ ისინი რეკომენდაციას აძლევენ „ბავშვთა საფეხბურთო სკოლამ" დამოუკიდებელ ა(ა)იპ-ად გააგრძელოს ფუნქციონირება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ემზარ თევდორაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები

სარეგისტრაციო ფურცელი
21. 02. 2019 წელი
16. 00 საათი

სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1. თავმჯდომარე – ემზარ თევდორაძე		
2. კარლო კვიტაიშვილი	15^{55}	
3. გოდერძი ქურიძე	—	არ ესწრებოდა
4. კახა თედორაძე	16^{00}	
5. რეზო კვაჭაძე	16^{00}	
6. ზაალ სანაძე	16^{00}	
7. ბესიკ კუპრაძე	16^{00}	
8. ამირან ქანთარია	16^{00}	
9. გიორგი გვარჯალაძე	—	არ ესწრებოდა
10. რეზო კვერენჩხილაძე	16^{00}	
11. ელისო ჭიჭინაძე	16^{00}	
12. ამირან გიგინეიშვილი	—	არ ესწრებოდა
13. ლელა ჩახვაძე	—	არ ესწრებოდა
14. ცისანა ურუშაძე	—	არ ესწრებოდა